სამედიცინო რეაბილიტაციური ღონისძიებები დაავადების მძიმე მიმდინარეობისას 2 ეტაპად ტარდება: I ეტაპი - სტაციონარულად აქტიური ქიმიოთერაპია - პოლიქიმიოთერაპიის სხვადასხვა სტანდარტული სქემებით ბლასტური კრიზის ციტოლოგიური ვარიანტის შესაბამისად: ლიმფოიდური ვარიანტისას "3პმპ" სქემით, მიელოიდური ვარიანტისას კი "მპპ", "აპპპ" სქემებით, ციტოზარის და რუბომიციინის კომბინაციით.

II ეტაპი - ხელშეწყობი თერაპია ხორციელდება ამბულატორიულად, იმავე სქემებით როგორც საშუალო სიმძიმით მიმდინარეობისას. ქრონიკული მიელოლეიკოზით შეპყრობილ ავადმყოფთა ეტაპური სამედიცინო რეაბილიტაციის დიფერენცირებული გამოყენება დაავადების სხვადასხვა მიმდინარეობისას ხელს უწყობს ავადმყოფთა სოციალურ და შრომით რეაბილიტაციას, ინვალიდობის გადავადებას.

ქრონიკული მიელოლეიკოზის მსუბუქი მიმდინარეობისას ავადმყოფთა შრომისუნარიანობა შენახულია შრომის ხასიათის და პირობების შეზღუდვის გარეშე. საშუალო სიმძიმით მიმდინარეობისას (უფრო ხშირად) და მძიმე მიმდინარეობისას - ყველა ავადმყოფი შრომისუნაროა და მიეკუთვნებათ III და II ჯგუფის ინვალიდობა.

ქრონიკული მიელოლეიკოზით შეპყრობილი 145 ავადმყოფის შრომისუნარიანობის ანალიზმა გვიჩვენა (იხ. ცხრ.1), რომ ავადმყოფთა შრომისუნარიანი ასაკის 43,5% და საპენსიო ასაკის 10,3% აგრძელებს აქტიურ შრომით საქმიანობას. ავადმყოფთა 30,3% პენსიონერია, 9,7% გადაყვანილია მსუბუქ სამუშაოზე, 6,2% კი - დისახლისია. ამდენად, ავადმყოფთა 53,8% დაკავებულია შრომითი საქმიანობით.

ქრონიკული მიელოლეიკოზით შეპყრობილ ავადმყოფთა სოციალური  
კუთვნილება

ავადმყოფთა საერთო რაოდენობა	შრომისუნარიანი ასაკი		არაორგანი- ზებული	საპენსიო ასაკი	
	მომუშავე	ინვალიდი		მომუშავე პენსიონერი	ასაკოვანი პენსიონერი
145	63	14	9	15	44
%	43.5	9.7	6.2	10.3	30.3

სუბლეიკემიური მიელოზის მსუბუქი მიმდინარეობისათვის დამახასიათებელია ხანგრძლივი კლინიკურ-ჰემატოლოგიური კომპენსაცია: ავადმყოფებს აღენიშნებათ ზომიერი სპლენო- ან ჰემატომეგალია, ლეიკოციტების ნორმალური რაოდენობა ან უმნიშვნელო ლეიკოციტოზი მარცხნივ გადახრით (მიელოციტებამდე). სხვა ორგანოთა და სისტემების მხრივ შეიმჩნევა უმნიშვნელო ასაკობრივი ცვლილებები, ვინაიდან ავადმყოფები ძირითადად ხანშიშესულნი არიან.

ამ დროს ავადმყოფთა სამედიცინო რეაბილიტაცია, როგორც წესი, ამბულატორიულად ტარდება და წარმოდგენილია ზოგადგამაჯანსაღებელი თერაპიით, შრომის და დასვენების რაციონალური რეჟიმით, სიმპტომური და ფსიქოთერაპიით, იმუნიტეტის დარღვევის შემთხვევაში - იმუნომაკორექტირებელი თერაპიით.

დაავადების საშუალო სიმძიმით მიმდინარეობა ხასიათდება ბაქტერიული, თრომბოზული და აუტოიმუნური გართულებებით აუტოიმუნური ჰემოლიზური ანემიის და თრომბოციტოპენიის სახით, რაც შესაბამისი თერაპიით ადვილად კუპირდება.

საშუალო სიმძიმით მიმდინარე ავადმყოფთათვის შემუშავებულ იქნა სამედიცინო რეაბილიტაციის 2 ეტაპი: I, რომელიც ამბულატორიულად ტარდება აქტიური ციტოსტატიკური მონოქიმოთერაპია, რომელიც გამოიყენება მნიშვნელოვანი ორგანომეგალიისას. ქრონიკული აუტოიმუნური ჰემოლიზური ანემიის და თრომბოციტოპენიისას იხმარება სტეროიდული ჰორმონების საშუალო და მცირე დოზები იმუნოკორექტორებთან კომბინაციაში. მაკროციტული ანემიისას - ფოლიუმის მკევა.

II ეტაპი - ხელშემწყობი თერაპია, რომელიც ხორციელდება იმავე საშუალებებით, ტარდება აგრეთვე კურორტული მკურნალობა.

სუბლეიკემიური მიელოზის მძიმე მიმდინარეობა ხასიათდება ხშირი ბაქტერიული, აუტოიმუნური, თრომბოზული გართულებებით. ავადმყოფებს აღენიშნებათ მკვეთრი სპლენო-ჰემატომეგალია, რომელსაც თან სდევს დისკომფორტი და მოძრაობის შეზღუდვა. ამ შემთხვევაში გამოყოფილი იყო სამედიცინო რეაბილიტაციის 2 ეტაპი: I-სტაციონარული მკურნალობა, რომელიც ხორციელდება კლინიკურ-ჰემატოლოგიური კომპენსაციის დარღვევის ხარისხისა და გართულებათა ხასიათისაგან დამოკიდებულებით. ჩვენებისდა მიხედვით ტარდება სპლენექტომია.



II ეტაპი ხორციელდება ამბულატორიულად - ხელშემწყობი თერაპიის სტეროიდული ჰორმონებით, ციტოსტატიკებით.

დაავადების მსუბუქად მიმდინარეობისას ავადმყოფთა შრომის უნარი შენახულია სამუშაოს ხასიათისა და პირობების შეზღუდვით.

საშუალო სიმძიმით მიმდინარეობისას, უფრო ხშირად, ავადმყოფებს შეზღუდული აქვთ შრომის უნარი.

სუბლეიკემიური მიელოზის მძიმე მიმდინარეობისას კი ავადმყოფები შრომისუნარიანი არიან და წარმოდგენენ II ჯგუფის ინვალიდებს. შრომის უნარის მდგრადად დაკარგვის მიზეზები შემდეგია: ხშირი ტემპერატურული რეაქციები, ხშირი ბაქტერიული და აუტოიმუნური გართულებები, შარდმკვავა დიათეზი, ბლასტური გამწვავება, პათოლოგია გულ-სისხლძარღვთა სისტემის მხრივ.

სუბლეიკემიური მიელოზით შეპყრობილი 172 ავადმყოფის შრომისუნარიანობის ანალიზმა გვიჩვენა (იხ.ცხრილი 2), რომ ავადმყოფთა შრომისუნარიანი ასაკის 30,2% და საპენსიო ასაკის 14,5%, ე.ი. სულ 44,7% აგრძელებს შრომით საქმიანობას. ავადმყოფთა 39,5% პენსიონერია, 6,4% კი გადაყვანილია მსუბუქ სამუშაოზე.

ცხრილი 2

სუბლეიკემიური მიელოზით შეპყრობილ ავადმყოფთა სოციალური კუთვნილება

ავადმყოფთა საერთო რაოდენობა	შრომისუნარიანი ასაკი		არაორგანიზებული	საპენსიო ასაკი	
	მომუშავე	ინვალიდი		მომუშავე პენსიონერი	ასაკოვანი პენსიონერი
172	52	11	16	25	68
%	30.2	6.4	9.3	14.5	39.5

ერთრემიის მსუბუქი მიმდინარეობისას ავადმყოფებს აღენიშნებათ ადვილად დაღლა, გონებრივი შრომისუნარიანობის დაქვეითება (დღის ბოლოს), სიმძიმის შეგრძნება თავში. პერიფერიულ სისხლში ერთორციტების რაოდენობის მომატება ლეიკოციტოზის და თრომბოციტოზის გარეშე. დამახასიათებელია ნერვული და გულსისხლძარღვთა სისტემის მხრივ ზომიერად გამოხატული გართულებები.

ამ დროს სამედიცინო რეაბილიტაცია წარმოდგენილია შრომის და დასვენების რაციონალური რეჟიმით, დიეტით, ზოგჯერ სუსტი ანტიკოაგულანტებით და სისხლის გამოშვებით (400-500 მლ კვირაში), ჰემოგლობინის 150,0 გ/ლ-მდე დასაწევად.

ერთრემიის საშუალო სიმძიმით მიმდინარეობა ხასიათდება მკვეთრი კლინიკური სიმპტომატიკით: ავადმყოფები უჩივიან თავის ტკივილს, ზოგჯერ ტკივილს გულის არეში, კანის ქავილს. ობიექტურად აღინიშნება წითელი -





მოლურჯო ფერის კანი, ლორწოვანი გარსების სიწითლე, ღვიძლის და ელფენის გადიდება, არტერიული წნევის მომატება.

საშუალო სიმძიმით მიმდინარეობისას ავადმყოფთა სამედიცინო რეაბილიტაცია ხორციელდება 2 ეტაპად: I ეტაპზე სტაციონარში უტარდებათ ციტოსტატიკო-თერაპია იმიფოსით, მიელობრომოდით ან მიელოსანით კლინიკურ-ჰემატოლოგიური მაჩვენებლებისაგან დამოკიდებულებით. ამ ეტაპზე ტარდება მკურნალობა ჰიპოტენზიური და საგულე საშუალებებით და ჩვენებისდა მიხედვით ანტიკოაგულანტებით.

II ეტაპი ხორციელდება ამბულატორიულად - ხელშემწყობი თერაპია. ტარდება ავადმყოფთა მუდმივი დისპანსერული მეთვალყურეობა სისხლის საერთო ანალიზის და კოაგულოგრამის დინამიკაში გამოკვლევასთან ერთად.

ერთრემიის მძიმედ მიმდინარეობისთვის დამახასიათებელია სხვადასხვა ორგანოს და სისტემის გამოხატული სისხლძარღვოვანი გართულებები (თრომბოზები ცერებრალური, კორონალური და პერიფერიულ სისხლძარღვთა, სისხლჩაქცევა). რიგ ავადმყოფს უვითარდება მიოკარდიუმის მსხვილკეროვანი ინფარქტი (სისხლის მიმოქცევის II და III ხარისხის მოშლით). ხშირად აღენიშნებათ თავის ტვინის სისხლის მიმოქცევის ქრონიკული უკმარისობა, თავის ტვინში სისხლჩაქცევა ექროვანი ცერებრალური სიმპტომატიკით.

მძიმე მიმდინარეობისას ავადმყოფთა სამედიცინო რეაბილიტაცია ხორციელდება 2 ეტაპად: I ეტაპზე ტარდება მკურნალობა კლინიკურ-ჰემატოლოგიური სურათისაგან და გართულებათა ხარისხისაგან დამოკიდებულებით.

II ეტაპზე ტარდება ხელშემწყობი თერაპია ციტოსტატიკების, სტეროიდების, ტრანსფუზიის და ანტიკოაგულანტების, დეზაგრეგანტების გამოყენებით. უტარდებათ ასევე სამკურნალო ფიზიკულტურა.

ერთრემიის მსუბუქი მიმდინარეობისას ავადმყოფები, რომელთაც აღენიშნებათ კლინიკურ-ჰემატოლოგიურ დარღვევათა გამოვლენის საწყისი ნიშნები, ითვლებიან შრომისუნარიანად.

ერთრემიის საშუალო სიმძიმით მიმდინარეობისას ავადმყოფთა შრომისუნარიანობა შეზღუდულია გულ-სისხლძარღვთა სისტემის და ნერვული სისტემის მხრივ გართულებათა არსებობის გამო. ასეთ ავადმყოფთა დიდი ნაწილი (ფიზიკურად მომუშავენი განსაკუთრებით ცხელ საამქროებში) აგრძელებს შრომით საქმიანობას შეცვლილ პირობებში.

გამოხატული სიმპტომური არტერიული ჰიპერტონია - არტერიული წნევის მაღალი და მდგრადი ციფრები, II ხარისხის კორონალური უკმარისობა, სისხლის მიმოქცევის II ხარისხის მოშლით იწვევს შრომის უნარის სრულ დაკარგვას. მძიმე სისხლძარღვოვანი გართულებებით მიმდინარე ერთრემიისას ავადმყოფებს უდგინდებათ ინვალიდობის I გჯგუფი.

ერთრემიით შეპყრობილი 164 ავადმყოფის შრომისუნარიანობის ანალიზის შედეგები მოცემულია მე-3 ცხრილში.

ერთრემიით შეპყრობილ ავადმყოფთა სოციალური კუთვნილება

ავადმყოფთა საერთო რაოდენობა	შრომისუნარიანი ასაკი		არაორგანიზებული	საპენსიო ასაკი	
	მომუშავე	ინვალიდი		მომუშავე პენსიონერი	ასაკოვანი პენსიონერი
164	70	17	10	25	42
%	43	10,4	6	15,2	25,6

როგორც ცხრილიდან ჩანს, ავადმყოფთა შრომისუნარიანი ასაკის 43% და საპენსიო ასაკის 15,2% აგრძელებს შრომით საქმიანობას, ავადმყოფთა 25,6% პენსიონერია და 10,4% გადაყვანილია მსუბუქ სამუშაოზე. სულ შრომითი საქმიანობით დაკავებულია ავადმყოფთა 58,2%.

ქრონიკული მონოციტური ლეიკოზის მსუბუქი მიმდინარეობისათვის დამახასიათებელია ხანგრძლივი კლინიკურ-პემატოლოგიური კომპენსაცია, სხვადასხვა ორგანოთა და სისტემის მხრივ უმნიშვნელო ცვლილებები. ამ დროს სამედიცინო რეაბილიტაცია, როგორც წესი, ტარდება ამბულატორიულად და წარმოდგენილია ზოგადდამაჯანსაღებელი თერაპიით, შრომის და დასვენების რაციონალური რეჟიმით, ვიტამინოთერაპიით.

საშუალო სიმძიმით მიმდინარეობისას აღინიშნება ტემპერატურული რეაქციები და კანის სხვადასხვა ხასიათის დაზიანებანი: ალერგიული, სეპტიური და ბაქტერიული. უფრო გამოხატულია დარღვევები გულ-სისხლძარღვთა სისტემის მხრივ, ხშირია ბრონქოპნევმონია. ასეთ დროს რეაბილიტაციური ღონისძიებები 2 ეტაპად ხორციელდება: I ეტაპი - აქტიური თერაპია ძირითადად რ-მერკაპტოპურინის და პრედნიზოლონის კომბინაციით და სიმპტომური თერაპია ანტიბიოტიკებით, იმუნოკორექტორებით, საგულე საშუალებებით, ანემიის დროს - ერთოროციტული მასის გადასხმებით.

II ეტაპი - ხელშემწყობი თერაპია რ-მერკაპტოპურინის და პრედნიზოლონის კომბინაციით (პატარა დოზებით), საკურორტო მკურნალობა, ფსიქოთერაპია.

ქრონიკული მონოციტური ლეიკოზის მძიმე მიმდინარეობა ხასიათდება ხშირი გამწვავებებით, ტემპერატურული რეაქციებით, კანის ანთებითი ხასიათის დაზიანებით, ხშირი ბრონქოპნევმონიებით. ყველა ავადმყოფს აღინიშნება სხვადასხვა ორგანოს და სისტემის გამოხატული ცვლილება.

მძიმე მიმდინარეობისას დამუშავდა რეაბილიტაციურ ღონისძიებათა 2 ეტაპი: I ეტაპი - აქტიური თერაპია (პრედნიზოლონით და რ-მერკაპტოპურინით ან პრედნიზოლონით და ციკლოფოსფანით), რომელიც ტარდება სტაციონარულად და II ეტაპი - ხელშემწყობი თერაპია ამბულატორიულად.

დაავადების მსუბუქი მიმდინარეობისას - უმნიშვნელო პემატოლოგიური გამოვლენებებისას ავადმყოფები შრომისუნარიანი არიან და ეწევიან აქტიურ შრომით საქმიანობას.

საშუალო სიმძიმით და მძიმე მიმდინარეობისას ავადმყოფთა შრომის უნარი შეზღუდულია ან მდგრადად დაკარგულია. საშუალო სიმძიმით მიმდინარეობისას



ავადმყოფებს უდგინდებთ ინვალიდობის II, ზოგჯერ III ჯგუფი. ზოგიერთი მათგანი გადაყვანილია მსუბუქ სამუშაოზე სპეციალურად შექმნილ პირობებში. მძიმე მიმდინარეობისას (ტერმინალური სტადია), როცა კლინიკურ-პემატოლოგიური კომპენსაცია არ აღენიშნებათ, დგინდება ინვალიდობის I ჯგუფი.

ქრონიკული მიელომონოციტური ლეიკოზით დაავადებულ ავადმყოფთა მდგომარეობა ძირითადად მძიმე იყო. ისინი იმყოფებოდნენ სტაციონარულ მკურნალობაზე, ყველა შემთხვევაში დგინდებოდა არასრული კლინიკურ-პემატოლოგიური კომპენსაცია. მკურნალობა ტარდებოდა ციტოსტატიკებით, სტეროიდებით, ჰემოტრანსფუზიებით, სიმპტომური საშუალებებით. ავადმყოფები იყვნენ II. და I ჯგუფის ინვალიდები.

ქრონიკული მონოციტური ლეიკოზით შეპყრობილ 15 ავადმყოფის და ქრონიკული მიელომონოციტური ლეიკოზით შეპყრობილი 17 ავადმყოფის შრომისუნარიანობის ანალიზმა დაგვანახა, როგორც მე-4 ცხრილიდან ჩანს, რომ ქრონიკული მონოციტური ლეიკოზით შეპყრობილ ავადმყოფთა 46,6% და ქრონიკული მიელომონოციტური ლეიკოზით შეპყრობილ ავადმყოფთა 17,7% აგრძელებს შრომით საქმიანობას.

ცხრილი 4

ქრონიკული მონოციტური ლეიკოზებით შეპყრობილ ავადმყოფთა სოციალური კუთვნილება

ნოზოლოგია	ავადმყოფთა საერთო რაოდენობა	შრომისუნარიანი ასაკი		არაორგანიზებული	საპენსიო ასაკი	
		მომუშავე	ინვალიდი		მომუშავე პენსიონერი	ასაკოვანი პენსიონერი
ქრონიკული მონოციტური ლეიკოზი	15	2	1	1	5	6
%	47	13.3	6.7	6.7	33.3	40
ქრონიკული მიელომონოციტური ლეიკოზი	17	1	9	-	2	5
%	53	5.9	53.0	-	11.8	29.4

ამრიგად, მიელოპროლიფერაციული დაავადებებით შეპყრობილ ავადმყოფთა მედიკურ-სოციალური ადაპტაციის გაუმჯობესების მნიშვნელოვანი ფაქტორებია: ავადმყოფთა ეტაპური სამედიცინო რეაბილიტაცია, სწორი პროფორიენტაცია და რაციონალური შრომითი მოწყობა.

აკად. გამუხაძის სახელობის პემატოლოგიისა და სისხლის გადასხმის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი

М.В.Богвелишвили, М.Ш.Шеклашвили

## Реабилитация больных миелопролиферативными заболеваниями

### Резюме

Разработана система реабилитации больных хроническим миелолейкозом, сублейкемическим миелозом, эритремией и хроническими моноцитарными лейкозами.

Поэтапная медицинская реабилитация, профориентация и рациональное трудоустройство - факторы повышения медико-социальной адаптации больных миелопролиферативными заболеваниями.

EXPERIMENTAL MEDICINE

M.Bogvelishvili, M.Sheklashvili

## The Rehabilitation of Patients with Myeloproliferative Diseases

### Summary

A system of rehabilitation of patients with chronic myeloleukosis, subleukemic myelosis, erythremia and chronic monocytic leukoses is developed.

Medical rehabilitation, proforientation and rational empboument are the factors of raising medico-social adaptation of patients with mieloproliferative diseases.

M. Butskhrikidze

## Implicational Universals on Relationship between the Word Stress and Devoicing of Final Obstruents (In Fixed Stress Languages)

(Presented by Academician Th. Gamkrelidze 7.06.1994)

As it is well known, at first term "neutralization" was used by representatives of Prague School. N. Trubezkoy distinguished two types of neutralization: contextual and structural, which occurs in particular positions in a word, the latter being the focus of our interest. N. Trubezkoy explains the reason of the neutralization of voiced-voiceless oppositions at the end of a word by their position in a word [1]. Farther such occurrences are investigated as morphophonological appearances [2], [3], [4], but from our point of view there is not clearly shown why and wherefore the neutralization occurs. In this paper an attempt is made to discuss this problem in fixed word stress languages and also to find constant relationship between devoicing of final obstruents and the position of the word stress.

In the part of a word which is not informationally loaded (does not coincide with the lexical stem) phonemes have a low functional yield and their distribution is limited. By functional yield we mean a certain statistical expression of phonemes comprising the general occurrence of phonemes in a word. Thus devoicing occurs in the place where information is less. Opposite to it the position where the fixed word stress falls is informationally loaded. By the position of the word stress in fixed word stress languages we can clearly determine the initial or final syllables as informationally loaded. Hence we can predict the occurrence of devoicing in final position. If the stress falls on the final syllable of a word, the devoicing does not occur. For example in Persian *medad* "pencil" is pronounced [medad]; in French *promenade* "voyage" is pronounced [promenad]; in Grabar *erag* "quickly" is pronounced [erag]. If the fixed word stress is on the first/second from the end syllable or is restricted to certain positions (Sanskrit, Old Persian), the end of the word is weak and devoicing of the final obstruents occur. For example, in Polish *magnez* "magnet" is pronounced [magnes], in Czech *narod* "people" is pronounced [narot], in Georgian *vaketeb* "I am doing" is pronounced [vaketep].

The study is carried out on the synchronic layer, but in order to prove the existence of certain relations, the diachronics of the Persian language development is used which shows how the change of the stress position influences the final obstruents.

In Old Persian the position of the word stress was limited by the length of the syllables. It was penultimate syllable if it was long or on the third from the end if penultimate syllable had a short vowel. Voiced consonants in the final position do not occur [5].

In Middle Persian there are two stages (two languages). In the last one (Sasanian Persian) p.t.k. between vowels and at the end of a word before sonants and vowels became fricatives  $\beta$ ,  $\delta$ ,  $\gamma$  [6].

For example  $\underline{\text{raftak}} \rightarrow \underline{\text{raftay}}$  "gone"  
 $\underline{\text{nē zak}} \rightarrow \underline{\text{nē zay}}$  "spear"  
 $\underline{\text{apac}} \rightarrow \underline{\text{apaz}}$  "again" [7]

In Middle Persian word stress was on the final syllable.

In Modern Persian the fixed word stress is on the final syllable and voiced consonants are not devoicing.

There are correspondences from various stages of the Persian language, which shows how the shift of the word stress to the final syllable influenced the final obstruents.

Old Persian	Middle Persian	Modern Persian
$\underline{\text{a z a t a}}$	$\underline{\text{a z a t}}$	$\underline{\text{a z a d}}$ "noble"
$\underline{\text{a p}}$	$\underline{\text{a } \beta}$	$\underline{\text{a b}}$ "water"
$\underline{\text{spadi-pati}}$	$\underline{\text{spa hpat}}$	$\underline{\text{sipa hbad}}$ "general"

To illustrate the relationship between the position of the fixed word stress and the devoicing of final obstruents the data of 44 languages of eleven families have been analysed.

The list of studied languages is as follows: type 1: groups of languages where the stress is on the final syllable and devoicing does not occur; type 2: the stress is not on the final syllable and final obstruents are devoicing.

**Type 1:** Iranian (Persian, Beluchi, Tadzhiq, Kurdish, Jazghulam, Ishkashim); Turkic (Turkish, Kumukh, Karaim, Bashkir, Turkmen, Uzbek, Khakas, Tuvinian, Jakut, Gagauz); Lezgian (Lezg); Finno-Ugric (Udmurt); Manchu -Tungus (Nanai, Itelmen, Orochi); Romans (Franch).

**Type 2:** Kartvelian (Georgian, Zan (Mingrelian and Laz)); Indic (Sanskrit); Iranian (Old Persian); Indo-European (Grabar, Modern Armenian); Germanic (Jiddish, German, Icelandic); Jeniseian (Ket); Finno-Baltic (Finish, Latvian, Estonian, Karelian, Livian e.t.c.); Finno-Ugric (Saam e.t.c.); Slavic (Polish, Czech).

Summarising the above discussion for the fixed stress languages the following two types of implicational universals can be formulated:

**Universal 1.** If the fixed word stress is on the final syllable, devoicing of the final obstruents does not occur.

**Universal 2.** If the fixed word stress is not on the final syllable, final obstruents are devoicing.

მ. ბუცხრიკიძე

იმპლიკაციური უნივერსალები სიტყვათმახვილის ადგილსა  
 და აუსლაუტში მქედერ თანხმოვანთა დაყრუებას შორის  
 არსებული კავშირის შესახებ (ფიქსირებულმახვილიანი ენების  
 მასალაზე)

რ ე ზ ი უ მ ე

50-მდე ფიქსირებულმახვილიანი ენის მონაცემებზე დაყრდნობით ჩამოვყალიბეთ ორი იმპლიკაციური ხასიათის უნივერსალია: უნივერსალია 1. თუ ფიქსირებული მახვილი სიტყვის ბოლო მარცვალზეა, აუსლაუტში მქედრები არ ყრუვდება. უნივერსალია 2. თუ ფიქსირებული მახვილი სიტყვის პირველ/ბოლოდან მეორე მარცვალზეა ან ადგილითაა შემოსაზღვრული (როგორც ძველი ინდოევროპული ენებისთვისაა დამახასიათებელი), მაშინ აუსლაუტში მქედრები ყრუვდება.

ЯЗЫКОЗНАНИЕ

M. A. Буцхрикидзе

Импlicative универсалии, отражающие связь  
 словесного ударения с оглушением в ауслауте (на  
 материале языков с фиксированным ударением)

Резюме

На материале 44 языков из 11 языковых семей установили следующие импlicative универсалии: универсалия 1. Если фиксированное ударение на последнем слоге слова, оглушение звонких не произойдет; универсалия 2. Если фиксированное ударение на первом/последнем от конца слоге или ограничено местом (что характерно для древних индоевропейских языков), в ауслауте оглушение произойдет.

ლიტერატურა-ЛИТЕРАТУРА-REFERENCES

1. *H. C. Трубецкой*. Основы фонологии, 1960.
2. *B. Comrie*. Language Production, v.1, 1980.
3. *W. Dressler*. Proc. XII th. ICPHS, v.3, Tallinn, 1987.
4. *В. Б. Касевич*. Морфонология Л., 1986.
5. *R. Kent*. Old Persian, 1953.
6. *D. Mackenzie*. Bull. of the School of Oriental and African Studies, 1967.
7. *A. Pisowicz*. Origins of the New and Middle Persian Phonological Systems. Krakow, 1985.
8. *В. С. Растаргуева*. Среднеперсидский язык, 1966.

## საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში

1993 წლის 4-5 ნოემბერს ჩატარდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საერთო კრება, რომელმაც აირჩია აკადემიის პრეზიდიუმის ახალი შემადგენლობა. საერთო კრებამ ალტერნატიულ საფუძველზე საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტად აკადემიკოსი ალბერტ ნიკიფორეს ძე თავხელიძე აირჩია.



ათავხელიძე (16.XII.1930, თბილისი) არის გამოჩენილი ქართველი ფიზიკოსი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი (1963), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი (1974), სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი (1990), რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი (1991), ხელოვნებისა და მეცნიერების მსოფლიო აკადემიის (ამერიკის შეერთებული შტატები) წევრი (1993). 1953 წელს მან დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტი. 1953-1956 წლებში იყო სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის

ვისტეკლოვის სახ.მათემატიკური ინსტიტუტის ასპირანტი (ქ.მოსკოვი). 1956-1970 წლებში მუშაობდა ბირთვულ გამოკვლევათა გაერთიანებულ ინსტიტუტში (დუბნა, მოსკოვის ოლქი) მეცნიერ თანამშრომლად, განყოფილების უფროსად, თეორიული ფიზიკის ლაბორატორიის დირექტორის მოადგილედ, პარალელურად 1964-1970 წლებში მოღვაწეობდა მაღალი ენერგიების ფიზიკის ინსტიტუტში (პროტვინო, მოსკოვის ოლქი) თეორიული ფიზიკის სექტორის ხელმძღვანელად, ხოლო 1966-1971 წლებში უკრაინის მეცნიერებათა აკადემიის ნბოგოლიუბოვის სახ.თეორიული ფიზიკის ინსტიტუტში (ქ.კიევი) ელემენტარული ნაწილაკების თეორიის განყოფილების გამგედ. 1970-1986 წლებში იყო მოსკოვის მ.ლომონოსოვის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, 1987 წლიდან - თბილისის ი.ჯავახიშვილის სახ.სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორია.

აკად. ათავხელიძე არის ერთ-ერთი დამაარსებელთაგანი: რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ბირთვულ გამოკვლევათა ინსტიტუტისა (ქ.მოსკოვი, 1970), მისი პირველი დირექტორი (1970-1986), ამჟამად სამეცნიერო ხელმძღვანელი; თბილისის ი.ჯავახიშვილის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტის მაღალი ენერგიების ფიზიკის ინსტიტუტისა (1980) და მისი სამეცნიერო ხელმძღვანელი დაარსების დღიდან; უკრაინის მეცნიერებათა აკადემიის ნბოგოლიუბოვის სახ. თეორიული ფიზიკის ინსტიტუტისა (1966); რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალისა "თეორიული და მათემატიკური ფიზიკა" (1969); საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ა.არაზმძის სახ. მათემატიკის ინსტიტუტის თეორიული ფიზიკის განყოფილებისა (1971) და მისი გამგე დაარსების დღიდან; თბილისის ი.ჯავახიშვილის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტის მაღალი ენერგიების ფიზიკის კათედრისა და მისი გამგე 1987 წლიდან. მან აღზარდა ფიზიკოსთა არაერთი თაობა. მის მოწაფეთა შორის არიან



სხვადასხვა ქვეყნების მეცნიერებათა აკადემიების წევრები, მეცნიერებათა დოქტორები და კანდიდატები.

აკად. ათავხელიძე ორგანიზატორია მრავალი საერთაშორისო კონფერენციის, სიმპოზიუმის, სემინარისა და სკოლის. ის წარმოადგენს საქართველოს რესპუბლიკას ევროპის აკადემიათა გაერთიანებაში, მსოფლიო ლაბორატორიაში, აკადემიების საერთაშორისო ასოციაციაში, პავოუშის მიძრობაში.

აკად. ათავხელიძის შრომები ველის კვანტურ თეორიასა და ელემენტარული ნაწილაკების ფიზიკაში საფუძვლად დაედო მრავალი მიმართულების შექმნასა და განვითარებას; მან აკად. ნ.ბოგოლიუბოვსა და პროფ. ბ.სტრუმინსკისთან ერთად შემოიტანა ცნება ფუნდამენტური კვანტური რიცხვისა - ფერის და შესაბამისად, ფერადი კვარკებისა, რომლებსაგანაც შედგება ძლიერად ურთიერთქმედი ნაწილაკები, ჰადრონები (1965); შექმნა კვაზითავისუფალი ფერადი კვარკებისაგან შედგენილი ჰადრონების დინამიკური მოდელი, რომლის საფუძველზეც შესწავლილ და ახსნილ იქნა ელემენტარული ნაწილაკების ძირითადი ფიზიკური თვისებები. შემდგომში აკად. ვ.მატვეევსა და აკად. წევრ-კორ. რ.მურადიანთან ერთად წამოაყენა ავტომოდულობის პრინციპი (1967), რომელზე დაყრდნობითაც ერთიანი თვალსაზრისით ახსნილ იქნა ელემენტარულ ნაწილაკთა ელექტრომაგნიტურ, სუსტ და ძლიერ ურთიერთქმედებათა პროცესებში მასშტაბური ინვარიანტობის კანონზომიერებანი და დადგენილ იქნა კვარკული თვლის ფორმულები (1972), რომელთა ექსპერიმენტულმა შემოწმებამ დაადასტურა კვაზითავისუფალი კვარკების ჰიპოთეზის სამართლიანობა. მან ერთ-ერთმა პირველმა მიუთითა ელემენტარული ნაწილაკების მასის აღმოცენების დინამიკურ მექანიზმზე, როგორც სიმეტრიის სპონტანური დარღვევის შედეგზე (1961); აკად. ვ.მატვეევსა და წევრ-კორ. ვ.რუბაკოვთან ერთად აჩვენა ფერმიონული ან ბარიონული რიცხვების შენახვის გლობალური კანონების დარღვევის შესაძლებლობა კვარკული მატერიის ზემალაღი სიმკვრივისას (1985); დაუშვა რა კვარკების CP- არაინვარიანტული სუპერსუსტი ურთიერთქმედება, პროფ. ვ.კუზმინთან ერთად ახსნა სამყაროს ბარიონული ასიმეტრია (1978); აკად. ა.ლოგუნოვთან ერთად ველის კვანტურ თეორიაში განაზოგადა დისპერსიულ თანაფარდობათა მეთოდი არადრეკადი და მრავალნაწილაკოვანი პროცესებისათვის, რის საფუძველზეც მიიღო მიახლოებითი ინტეგრალური განტოლებები ნუკლონებზე  $\pi$ -მეზონების ფოტოდაბადების,  $\pi$ -მეზონების ფიქსირებულ ნუკლონებზე გაბნევისა და სხვა პროცესების ამპლიტუდებისათვის (1957-1959); აკად. ა.ლოგუნოვთან ერთად ჩამოაყალიბა ველის კვანტური თეორიის სამგანზომილებიანი ფორმულირება, რომლის ჩარჩოებშიც ორი რელატივისტური ნაწილაკის ბმული მდგომარეობის აღწერისათვის მიიღო განტოლებები, ცნობილი „ლოგუნოვ-ათავხელიძის კვაზიპოტენციალური განტოლებების“ სახელწოდებით (1963); აკად. ა.ლოგუნოვსა და პროფ. ლ.სოლოვიოვთან ერთად ველის თეორიაში დაადგინა გაბნევის ამპლიტუდებისათვის სასრულო ენერგიების ჯამთა წესი და გაბნევის პროცესებისათვის გლობალური დულაურობის თვისებები (1967); შემდგომში, პროფ. ნ.კრასნიკოვსა და პროფ. კ. ჩეტირკინთან ერთად სასრულო ენერგიათა ჯამთა წესი განზოგადებულ იქნა კვანტურ ქრომოდინამიკაში. აკად. ნ.ბოგოლიუბოვსა და აკად. ვ.ვლადიმეროვთან ერთად ველის კვანტური თეორიის ზოგადი პრინციპების

საფუძველზე დაამტკიცა გაბნევის ამპლიტუდების ავტომოდელური ყოფაქცევა მალალ ენერგიებზე დიდი იმპულსების გადაცემისას (1972).

ერთობლივი კვლევის ციკლი „ახალი კვანტური რიცხვი - ფერი და ელემენტარული ნაწილაკებისა და ატომური ბირთვების კვარკულ სტრუქტურაში დინამიკურ კანონზომიერებათა დადგენა“ აღინიშნა ლენინური პრემიით (1986); ერთობლივ კვლევათა ციკლი „ $\pi$ -მეზონების ნუკლონებზე ფოტოდაბადება“ - სსრკ სახელმწიფო პრემიით (1973); „თავხელიძე-მატვეევ-მურადიანის კვარკული თვლის წესები“ აღიარებულია როგორც აღმოჩენა (1987).

ათავხელიძე არჩეული იყო საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მეტერთმეტე მოწვევის დეპუტატად და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრად (1987-1991), სსრკ სახალხო დეპუტატად (1989-1991).

ათავხელიძეს მიღებული აქვს სახელმწიფო ჯილდოები.

### საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საერთო კრება

1994 წლის 30 მაისს შედგა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წლიური საერთო კრება.

სხდომა შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა, აკადემიკოსმა ათავხელიძემ.

საანგარიშო პერიოდში მეცნიერული კვლევის ძირითადი შედეგებისა და მეცნიერების შემდგომი განვითარების პერსპექტივების შესახებ მოხსენებები გააკეთეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტებმა, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსებმა ააფაქიძემ, გსანაძემ და იფრანგიშვილმა.

აკადემიის პრეზიდიუმის 1993 წლის საქმიანობის შესახებ მოხსენება გააკეთა აკადემიის აკადემიკოს-მდივანმა, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა ლ.გაბუნიაძემ.

კრებაზე გამოვიდნენ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსები - თბილისის ი.ჯავახიშვილის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტის მალალი ენერგიების ფიზიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი ნამალლობელი, ქიმიისა და ქიმიური ტექნოლოგიის განყოფილების აკადემიკოს-მდივანი გგველესიანი, მათემატიკისა და ფიზიკის განყოფილების აკადემიკოს-მდივანი ჯ.ლომინაძე, თბილისის ი.ჯავახიშვილის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი რამეტრეველი, ვენისა და ლიტერატურის განყოფილების აკადემიკოს-მდივანი გ.ციციშვილი, კიბერნეტიკის ინსტიტუტის დირექტორი გხარატიშვილი, აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორიის საპატიო დირექტორი ეხარაძე, ანათიშვილის სახ. ექსპერიმენტული მორფოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი ნჯავახიშვილი; საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტები - სამედიცინო ბიოტექნოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი ვბახუტაშვილი, აჭანელიძის სახ. გეოლოგიური ინსტიტუტის დირექტორის მრჩეველი გზარიძე, გეოფიზიკის ინსტიტუტის საცდელ-მეთოდური გეოფიზიკური ექსპედიციის უფროსი გშენგელაია, ბათუმის ნ.ბერძენიშვილის სახ. სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი დხახუტაიშვილი.

მეცნიერთა იუბილეები

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმი  
ულოცავს:

დაბადების 85-ე წლისთავს აკადემიკოს  
**ბენედიქტი ბალაშაძეს**

დაბადების მე-80 წლისთავს აკადემიკოს  
**ვახტანგ ბერიძეს**

დაბადების 70-ე წლისთავს აკადემიკოს  
**თეიმურაზ ჭანიშვილს**

დაბადების მე-60 წლისთავს აკადემიის წევრ-კორესპონდენტს  
**მირიან მისტვირიშვილს**



1. ჟურნალ "საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის" მოამბეში" ქვეყნდება აკადემიკოსთა და წევრ-კორესპონდენტთა, აკადემიის სისტემაში მომუშავე და სხვა მეცნიერთა მოკლე წერილები, რომლებიც შეიცავს ახალ მნიშვნელოვან გამოკვლევათა ჭრ გამოუქვეყნებულ შედეგებს. წერილები ქვეყნდება მხოლოდ იმ სამეცნიერო დარგებიდან, რომელთა ნომენკლატურული სია დამტკიცებულია აკადემიის პრეზიდიუმის მიერ.

2. "მოამბეში" არ შეიძლება გამოქვეყნდეს პოლემიკური წერილი, აგრეთვე მიმოხილვით ან აღწერით ხასიათის წერილი ცხოველთა, მცენარეთა ან სხვათა სისტემატიკაზე, თუ მასში მოცემული არაა მეცნიერებისათვის განსაკუთრებით საინტერესო შედეგები.

3. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსთა და წევრ-კორესპონდენტთა წერილები უშუალოდ გადაეცემა გამოსაქვეყნებლად "მოამბის" რედაქციას, ხოლო სხვა ავტორთა წერილები ქვეყნდება აკადემიკოსთა ან წევრ-კორესპონდენტთა წარდგინებით. როგორც წესი, აკადემიკოსს ან წევრ-კორესპონდენტს "მოამბეში" დასაბეჭდად წელიწადში შეუძლია წარმოადგინოს სხვა ავტორთა არა უმეტეს ერთი წერილისა თითოეულ ნომერში (მხოლოდ თავისი სპეციალობის მიხედვით). საკუთარი - რამდენიც სურს, ხოლო თანაავტორებთან ერთად - არა უმეტეს სამი წერილისა. გამონაკლის შემთხვევაში, როცა აკადემიკოსი ან წევრ-კორესპონდენტი მოითხოვს მეტი წერილის წარდგენას, საკითხს წყვეტს მთავარი რედაქტორი. წარდგინების გარეშე შემოსულ წერილს "მოამბის" რედაქცია წარსადგენად გადასცემს აკადემიკოსს ან წევრ-კორესპონდენტს. ერთსა და იმავე ავტორს (გარდა აკადემიკოსისა და წევრ-კორესპონდენტისა) შეუძლია "მოამბეში" გამოაქვეყნოს არა უმეტეს სამი წერილისა (სულ ერთია, თანაავტორებთან იქნება იგი, თუ ცალკე).

4. წერილს აუცილებლად უნდა ახლდეს ჟურნალ "მოამბის" რედაქციის სახელზე იმ სამეცნიერო დაწესებულების მომართვა, სადაც შესრულებულია ავტორის სამუშაო.

5. წერილი წარმოდგენილი უნდა იყოს ორ ცალად, დასაბეჭდად საცეხბით მზა სახით, ავტორის სურვილისამებრ ქართულ, რუსულ, ან ინგლისურ ენაზე. ქართულ ტექსტს თან უნდა ახლდეს მოკლე რუსული და ინგლისური რეზიუმე. რუსულ ტექსტს - მოკლე ქართული და ინგლისური რეზიუმე, ხოლო ინგლისურ ტექსტს - მოკლე ქართული და რუსული რეზიუმე. წერილის მოცულობა ილუსტრაციებითურთ, რეზიუმეებითა და დამოწმებული ლიტერატურის ნუსხითურთ, რომელიც მას ბოლოში ერთვის, არ უნდა აღემატებოდეს ჟურნალის 4 გვერდს (8000 სასტამბო ნიშანი), ანუ საწერ მანქანაზე ორი ინტერვალით გადაწერილ 6 სტანდარტულ გვერდს (ფორმულებიანი წერილი კი - 5 გვერდს). არ შეიძლება წერილების ნაწილებად დაყოფა სხვადასხვა ნომერში გამოსაქვეყნებლად. ავტორისაგან რედაქცია დებულობს თვეში მხოლოდ ერთ წერილს.

6. იმის გამო, რომ ამიერიდან ჟურნალის სტატეები იწყობა კომპიუტერზე, რედაქციისათვის უმჯობესია, თუ შრომა წარმოდგენილი იქნება დისკეტაზე ჩაწერილი ფაილის სახით. ამასთან დაკავშირებით, საჭიროა, რომ ავტორებმა საკონსულტაციოდ მიმართონ რედაქციას.

7. აკადემიკოსთა ან აკადემიის წევრ-კორესპონდენტთა წარდგინება რედაქციის სახელზე დაწერილი უნდა იყოს ცალკე ფურცელზე წარდგინების თარიღის აღნიშვნით. მასში აუცილებლად უნდა აღინიშნოს, თუ რა არის ახალი წერილში, რა მეცნიერული ღირებულება აქვს მას და რამდენად უპასუხებს ამ წესების 1 მუხლის მოთხოვნას.

8. წერილი არ უნდა იყოს გადატვირთული შესავლით, მიმოხილვით, ცხრილებით, ილუსტრაციებითა და დამოწმებული ლიტერატურით. მასში მთავარი ადგილი უნდა ჰქონდეს დათმობილი საკუთარი გამოკვლევის შედეგებს. თუ წერილში გზადგაზა, ქვეთაეების მიხედვით გადმოცემულია დასკვნები, მაშინ საჭირო არაა მათი გამეორება წერილის ბოლოს.

9. წერილი ასე ფორმდება: თავში ზემოთ უნდა დაიწეროს ავტორის ინიციალები და გვარი (გვარები), ქვემოთ - წერილის სათაური. ზემოთ მარჯვენა მხარეს იწერება მეცნიერების დარგი, რომელსაც განეკუთვნება წერილი. ძირითადი ტექსტის ბოლოს, მარჯვენა მხარეს აღინიშნება იმ დაწესებულების სრული დასახელება და ადგილმდებარეობა, სადაც შესრულებულია შრომა.

10. ილუსტრაციები და ნახაზები წარმოდგენილ უნდა იქნეს ორ ცალად კონვერტით. ამასთან, ნახაზები შესრულებული უნდა იყოს შავი ტუშით. წარწერები ნახაზებს უნდა გაუკეთდეს კალიგრაფიულად და ისეთი ზომისა, რომ შემცირების შემთხვევაშიც კარგად იკითხებოდეს. ილუსტრაციების ქვემო წარწერების ტექსტი წერილის ძირითადი ტექსტის ენაზე წარმოდგენილ უნდა იქნეს ცალკე ფურცელზე. არ შეიძლება ფოტოებისა და ნახაზების დაწებება დედნის გვერდებზე. ავტორმა დედნის კიდებზე ფანქრით უნდა აღნიშნოს რა ადგილას მოთავსდეს ესა თუ ის ილუსტრაცია. არ შეიძლება წარმოდგენილ იქნეს ისეთი ცხრილი, რომელიც ჟურნალის ერთ გვერდზე ვერ მოთავსდება. ფორმულები მეღნიშნით მკაფიოდ უნდა იყოს ჩაწერილი ტექსტის ორივე გვერდში. ბერძნულ ასოებს ქვემოთ ყველგან უნდა გაეყვას თითო ხაზი წითელი ფანქრით, მთავრულ ასოებს - ქვემოთ ორ-ორი პატარა ხაზი შავი ფანქრით, ხოლო არამთავრულ ასოებს - ზემოთ ორ-ორი პატარა ხაზი. ფანქრითვე უნდა შემოიფარგლოს ნახევარწრით ნიშნაკებიც (ინდექსები და ხარისხის მაჩვენებლები).

11. დამოწმებული ლიტერატურა უნდა დაიბეჭდოს ცალკე ფურცელზე. საჭიროა დაცულ იქნეს ასეთი თანმიმდევრობა: ავტორის ინიციალები, გვარი, თუ დამოწმებულია საყურანალო შრომა, ვიზუალური ჟურნალის შემოკლებული სახელწოდება, ტომი, ნომერი, გამოცემის წელი. თუ დამოწმებულია წიგნი, აუცილებელია ვიზუალური მისი სრული სახელწოდება, გამოცემის ადგილი და წელი. თუ ავტორი საჭიროდ მიიჩნევს, ბოლოს შეუძლია გვერდების ნუმერაცია უჩვენოს. დამოწმებული ლიტერატურა უნდა დალაგდეს არა ანბანური წესით, არამედ დამოწმების თანმიმდევრობით. ლიტერატურის მისათითებლად ტექსტსა თუ შენიშვნებში კვადრატულ ფრჩხილებში ნაჩვენები უნდა იყოს შესაბამისი ნომერი დამოწმებული შრომისა. არ შეიძლება დამოწმებული ლიტერატურის ნუსხაში შევიტანოთ ისეთი შრომა, რომელიც ტექსტში მითითებული არ არის. ასევე არ შეიძლება გამოუქვეყნებელი შრომის დამოწმება. დამოწმებული ლიტერატურის ბოლოს ავტორმა უნდა მოაწეროს ხელი, აღნიშნოს სად მუშაობს და რა თანამდებობაზე. უჩვენოს თავისი ზუსტი მისამართი და ტელეფონის ნომერი.

12. ავტორს წასაკითხად ეძლევა თავისი წერილის გვერდებზე შეკრული კორექტურა მკაცრად განსაზღვრული ვადით - არაუმეტეს ორი დღისა. თუ დადგენილი ვადისათვის კორექტურა არ იქნა დაბრუნებული, რედაქციას უფლება აქვს შეაჩეროს წერილის დაბეჭდვა ან დაბეჭდოს იგი ავტორის ვიზის გარეშე.

13. ავტორს უფასოდ ეძლევა თავისი წერილის 10 ამონაბეჭდი.

(დამტკიცებულია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის მიერ 10.10.1968; შეტანილია ცვლილებები 6.2.1969 და 15.4.1994)

9. წერილი ასე ფორმდება: თავში ზემოთ უნდა დაიწეროს ავტორის (ავტორთა) ინიციალები და გვარი (გვარები), ქვემოთ - წერილის სათაური. ზემოთ მარჯვენა მხარეს იწერება მეცნიერების დარგი, რომელსაც განეკუთვნება წერილი. ძირითადი ტექსტის ბოლოს, მარცხენა მხარეს აღინიშნება იმ დაწესებულების სრული დასახელება და ადგილმდებარეობა, სადაც შესრულებულია შრომა.

10. ილუსტრაციები და ნახაზები წარმოდგენილ უნდა იქნეს ორ ცალად კონვერტით. ამასთან, ნახაზები შესრულებული უნდა იყოს შავი ტუშით. წარწერები ნახაზებს უნდა გაუკეთდეს კალიგრაფიულად და ისეთი ზომისა, რომ შემცირების შემთხვევაშიც კარგად იკითხებოდეს. ილუსტრაციების ქვემო წარწერების ტექსტი წერილის ძირითადი ტექსტის ენაზე წარმოდგენილ უნდა იქნეს ცალკე ფურცელზე არ შეიძლება ფოტოებისა და ნახაზების დაწებება დედნის გვერდებზე. ავტორმა დედნის კიდზე ფანქრით უნდა აღნიშნოს რა ადგილას მოთავსდეს ესა თუ ის ილუსტრაცია. არ შეიძლება წარმოდგენილ იქნეს ისეთი ცხრილი, რომელიც ჟურნალის ერთ გვერდზე ვერ მოთავსდება. ფორმულები მელნით მკაფიოდ უნდა იყოს ჩაწერილი ტექსტის ორივე ვგზემპლარში. ბერძნულ ასოებს ქვემოთ ყველგან უნდა გაეყვას თითო ხაზი წითელი ფანქრით, მთავრულ ასოებს - ქვემოთ ორ-ორი პატარა ხაზი შავი ფანქრით, ხოლო არამთავრულ ასოებს - ზემოთ ორ-ორი პატარა შავი ხაზი. ფანქრითვე უნდა შემოიფარგლოს ნახევარწრივ ნიშნაკებიც (ინდექსები და ხარისხის მაჩვენებლები).

11. დამოწმებული ლიტერატურა უნდა დაიბეჭდოს ცალკე ფურცელზე. საჭიროა დაცულ იქნეს ასეთი თანმიმდევრობა: ავტორის ინიციალები, გვარი, თუ დამოწმებულია საჟურნალო შრომა, ვუჩვენოთ ჟურნალის შემოკლებული სახელწოდება, ტომი, ნომერი, გამოცემის წელი. თუ დამოწმებულია წიგნი, აუცილებელია ვუჩვენოთ მისი სრული სახელწოდება, გამოცემის ადგილი და წელი. თუ ავტორი საჭიროდ მიიჩნევს, ბოლოს შეუძლია გვერდების ნუმერაციაც უჩვენოს. დამოწმებული ლიტერატურა უნდა დალაგდეს არა ანბანური წესით, არამედ დამოწმების თანმიმდევრობით. ლიტერატურის მისათითებლად ტექსტსა თუ შენიშვნებში კვადრატულ ფრჩხილებში ნაჩვენები უნდა იყოს შესაბამისი ნომერი დამოწმებული შრომისა. არ შეიძლება დამოწმებული ლიტერატურის ნუსხაში შევიტანოთ ისეთი შრომა, რომელიც ტექსტში მითითებული არ არის. ასევე არ შეიძლება გამოუქვეყნებელი შრომის დამოწმება. დამოწმებული ლიტერატურის ბოლოს ავტორმა უნდა მოაწეროს ხელი, აღნიშნოს სად მუშაობს და რა თანამდებობაზე, უჩვენოს თავისი ზუსტი მისამართი და ტელეფონის ნომერი.

12. ავტორს წასაკითხად ეძლევა თავისი წერილის გვერდებად შეკრული კორექტურა მკაცრად განსაზღვრული ვადით - არაუმეტეს ორი დღისა. თუ დადგენილი ვადისათვის კორექტურა არ იქნა დაბრუნებული, რედაქციას უფლება აქვს შეაჩეროს წერილის დაბეჭდვა ან დაბეჭდოს იგი ავტორის ვიზის გარეშე.

13. ავტორს უფასოდ ეძლევა თავისი წერილის 10 ამონაბეჭდი.

(დამტკიცებულია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის მიერ 10.10.1968; შეტანილია ცვლილებები 6.2.1969 და 15.4.1994)

1. В журнале "Сообщения АН Грузии" публикуются статьи академиков и членов-корреспондентов, научных работников системы Академии и других ученых, содержащие еще не опубликованные новые значительные результаты исследований. Печатаются статьи лишь из тех областей науки, номенклатурный список которых утвержден Президиумом АН Грузии.

2. В "Сообщениях" не могут публиковаться полемические статьи, а также статьи обзорного или описательного характера по систематике животных, растений и т.п., если в них не представлены особенно интересные научные результаты.

3. Статьи академиков и членов-корреспондентов АН Грузии принимаются непосредственно в редакции "Сообщений", статьи же других авторов представляются академиком или членом-корреспондентом АН Грузии. Как правило, академик или член-корреспондент может представить для опубликования в "Сообщениях" не более одной статьи разных авторов в каждый номер (только по своей специальности), собственные статьи - без ограничения, а с соавторами - не более трех в течение года. В исключительных случаях, когда академик или член-корреспондент требует представления большего числа статей, вопрос решает главный редактор. Статьи, поступившие без представления, передаются редакцией академику или члену-корреспонденту для представления. Один и тот же автор (за исключением академиков и членов-корреспондентов) может опубликовать в "Сообщениях" не более трех статей (в соавторстве или без) в течение года.

4. Статья обязательно должна иметь направление из научного учреждения, где выполнена работа, на имя редакции "Сообщений АН Грузии".

5. Статья должна быть представлена автором в двух экземплярах, в готовом для печати виде, на грузинском, русском или английском языке, по желанию автора. К ней должны быть приложены резюме : к грузинскому тексту - на русском и английском языках, к русскому тексту - на грузинском и английском языках, а к английскому тексту - на грузинском и русском языках. Объем статьи, включая иллюстрации, резюме и список цитируемой литературы, приводимый в конце статьи, не должен превышать четырех страниц журнала (8000 типографских знаков), или шести стандартных страниц машинописного текста, отпечатанного через два интервала (статья же с формулами - пяти страниц). Представление статьи по частям (для опубликования в разных номерах) не допускается. Редакция принимает от автора в месяц только одну статью.

6. Ввиду того, что журнальные статьи набираются на компьютере, для редакции желательно, чтобы тексты были представлены в виде файла на дискете. Для этого авторам необходимо обратиться в редакцию для получения консультаций.

7. Представление академика или члена-корреспондента на имя редакции должно быть напечатано на отдельном листе с указанием даты представления. В нем необходимо указать новизну и научную ценность результатов, а также соответствие статьи требованиям пункта 1 настоящего положения.

8. Статья не должна быть перегружена введением, обзором, таблицами, иллюстрациями и цитированной литературой. Основное место в ней должно быть отведено результатам собственных исследований. Если по ходу изложения в статье сформулированы выводы, не следует повторять их в конце статьи.

9. Статья оформляется следующим образом: сверху страницы, в середине, пишутся инициалы и фамилия автора, затем - название статьи; справа, сверху, представляющий указывает принадлежность статьи к области науки. В конце основного текста статьи, с левой стороны, автор указывает полное название и местонахождение учреждения, где выполнена данная работа.



40123/1

საქართველოს  
აкадеმიის

10. Иллюстрации и чертежи должны быть представлены в двух экземплярах в конверте, чертежи должны быть выполнены черной тушью. Надписи на чертежах должны быть выполнены каллиграфически в таких размерах, чтобы даже при уменьшении они оставались отчетливыми. Подписи к рисункам, сделанные на языке основного текста, должны быть представлены на отдельном листе. Не следует приклеивать фото и чертежи к листам оригинала. На полях оригинала автор отмечает карандашом место расположения иллюстраций. Не должны представляться таблицы, которые не могут уместиться на одной странице журнала. Формулы должны быть четко вписаны чернилами в оба экземпляра текста. Под греческими буквами проводится одна черта красным карандашом, под прописными - две черты черным карандашом, над строчными - также две черты черным карандашом сверху. Карандашом, полукругом, должны быть обведены индексы и показатели степени. Резюме представляются на отдельных листах. В статье не должно быть исправлений и дополнений карандашом или чернилами.

11. Список цитированной литературы должен быть отпечатан на отдельном листе в следующем порядке. Вначале пишутся инициалы, а затем - фамилия автора. Если цитирована журнальная работа, указываются сокращенное название журнала, том, номер, год издания. Если автор считает необходимым, можно указать и соответствующие страницы. Список цитированной литературы приводится не по алфавиту, а в порядке цитирования в статье. При ссылке на литературу в тексте или в сносках номер цитируемой работы помещается в квадратные скобки. Не допускается вносить в список цитированной литературы работы, не упомянутые в тексте. Не допускается также цитирование неопубликованных работ. В конце статьи, после списка цитированной литературы, автор должен подписаться и указать место работы, занимаемую должность, точный домашний адрес и номер телефона.

12. Автору направляется корректура статьи в сверстном виде на строго ограниченный срок (не более двух дней). В случае невозвращения корректуры к сроку, редакция вправе приостановить печатание статьи или напечатать ее без визы автора.

13. Автору выдается бесплатно 10 оттисков статьи.

(Утверждено Президиумом Академии наук Грузии  
10.10.1968; внесены изменения 02.02.1969 и 15.04.1994)

Адрес редакции: 380008, Тбилиси-8, пр. Руставели 52,  
комната 433, телефон: 99-75-93



